

საგადასახადო და საკანონმდებლო სიახლეები

მოსალოდნელი ცვლილებები საგადასახადო კანონმდებლობაში

2018 წლის მაისში საქართველოს „საგადასახადო კოდექსში“ შევიდა ჩვენი გასული თვის სიახლეების წერილში აღნიშნული მოსალოდნელი ცვლილებები, კერძოდ:

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული წესით გათვალისწინებულ შემთხვევებში საგადასახადო ორგანო უფლებამოსილია გადასახადის გადამხდელს საგადასახადო შემოწმებისას დასაბეგრი ქონების ღირებულება განუსაზღვროს საბაზრო ფასით, თუ დასაბეგრი ქონების საბაზრო ფასი აღემატება მის საბალანსო ღირებულებას.

აღნიშნული ნორმა არ ვრცელდება საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრულ სახელმწიფო საწარმოებზე და საწარმოზე, თუ იგი მის ბალანსზე რიცხულ უძრავ ქონებას გადაფასების მეთოდის გამოყენებით აღრიცხავს და მისი ფინანსური ანგარიშგება იქნება აუდირებული. ამასთანავე, აუდირებული ფინანსური ანგარიშგების მონაცემები შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ 4 წლის ვადით.

სხვა მოსალოდნელი საკანონმდებლო ცვლილებები

საქართველოს კანონი „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ და საქართველოს „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“

საქართველოს კანონში „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ შევიდა ცვლილებები, რომელიც ეხება საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის ნებართვას. აღნიშნული საქმიანობა 2018 წლის მაისის ცვლილებებამდე არ ექვემდებარებოდა სხვა მსუბუქი ავტომანქანების მართვისაგან განსხვავებულ რეგულირებას.

ცვლილების თანახმად, დედაქალაქში ტაქსით მგზავრების გადაყვანის ნებართვას გასცემს დედაქალაქის მთავრობა ან მის მიერ უფლებამოსილი საქართველოს დედაქალაქის მერიის სტრუქტურული ერთეული. ნებართვა, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა, გაიცემა ერთჯერადად, განსაზღვრული ან განუსაზღვრელი ვადით და მის მისაღებად აუცილებელია დადგენილი საფასურის გადახდა.

ზემოაღნიშნულმა ცვლილებამ განაპირობა საქართველოს სხვადასხვა სამართლებრივ აქტში ცვლილებების შეტანა, მათ შორის აღსანიშნავია საქართველოს „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას დედაქალაქში ნებართვის გარეშე მგზავრების გადაყვანისა (200 ლარის ოდენობით) და



სანებართვო პირობების დარღვევით მგზავრების გადაყვანისთვის (100 ლარის ოდენობით). ჯარიმის ნებაყოფლობითი აღსრულებისთვის განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ სამართალდამრღვევ პირს დაერიცხება საურავი დაკისრებული ჯარიმის ორმაგი ოდენობით. აღნიშნული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამოვლენის მიზნით კონტროლის განმახორციელებელი უფლებამოსილი სამსახური, ფიზიკური ან იურიდიული პირი უფლებამოსილი იქნება კალენდარული წლის განმავლობაში ნებისმიერ დროს შეუზღუდავად განახორციელოს შემოწმება.

მნიშვნელოვანი სასამართლო პრაქტიკა

თბილისის სააპელაციო სასამართლომ საინტერესო გადაწყვეტილება გამოიტანა მამკვიდრებლის კრედიტორების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით.

მხარეებს შორის დაიდო სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების უზრუნველყოფის მიზნით, იპოთეკით დაიტვირთა მოვალის მშობლის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება. მსესხებელი გარდაიცვალა ისე, რომ ხელშეკრულებით გადაცემული თანხა და სარგებელი მოსარჩელისთვის არ დაუბრუნებია.

გარდაცვლილს გარდაცვალების მომენტისთვის რაიმე ქონება არ გააჩნდა. შესაბამისად, მოპასუხეებს ფაქტობრივი ფლობით, სამკვიდრო

ქონება არ მიუღიათ. მათ არც სამკვიდრო მოწმობის გაცემის მოთხოვნით მიუმართავთ სანოტარო ბიუროსთვის.

მოსარჩელის მოთხოვნის საფუძველზე, ნოტარიუსმა გასცა სააღსრულებო ფურცელი მოვალის მიმართ.

მოპასუხეები თავს იცავდნენ იმ არგუმენტით, რომ მათ სამკვიდრო ქონება არ მიუღიათ, რადგანაც მამკვიდრებელს ქონება არ დარჩენია, რაც გამორიცხავს მათ პასუხისმგებლობას მამკვიდრებლის ვალეზისათვის.

მოცემულ საქმეში სასამართლომ განმარტა ის საკითხი, უნდა დაეკისროთ თუ არა მამკვიდრებლის მემკვიდრეებს მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი თანხა.

"მემკვიდრეებს გადასდახდელოდ არ უნდა დაეკისროთ სააღსრულებო ფურცლით განსაზღვრული მამკვიდრებლის ვალი. მათი უფლებამონაცვლეობა კი განპირობებულია მხოლოდ იმ გარემოებით, რომ ისინი წარმოადგენენ ერთგვარ სამართლებრივ ხიდს, ტრანზიტს კრედიტორის მოთხოვნიდან იპოთეკით დატვირთული ქონების მესაკუთრემდე, რათა განხორციელდეს იპოთეკით დატვირთული ქონებების რეალიზაცია ვალდებულების შესრულების მიზნით. საკითხის სხვაგვარი განმარტების შემთხვევაში, არალიკვიდური მოვალის გარდაცვალება (რის გამოც მემკვიდრეები ვერ იღებენ ქონებას) ყოველთვის გამოიწვევდა კრედიტორის სანივთო ფორმით უზრუნველყოფილი უფლების



არამართლობიერ შეზღუდვას, რაც თავისთავად ეწინააღმდეგება იპოთეკის, როგორც კრედიტის (სესხის) უზრუნველყოფის ლეგიტიმურ დანიშნულებას, დაკმაყოფილდეს მოთხოვნა იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაციით".

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება საქმეზე №28/2661-17 საჯაროდ ხელმისაწვდომია სასამართლოს ვებ. გვერდზე.

წინამდებარე წერილი შეიცავს ინფორმაციას საგადასახადო და საკანონმდებლო, ასევე, სასამართლო პრაქტიკის სიახლეების შესახებ. ჩვენ გამოვიყენეთ ყველა ძალისხმევა, რათა მოგვეწოდებინა სრული და ზუსტი ინფორმაცია. მიუხედავად ამისა, **ბეიკერ ტილი ჯორჯია** არ იძლევა გარანტიას, რომ მოცემულ წერილში არ იქნება უზუსტობები. წინამდებარე მასალა არ არის გათვლილი და არ უნდა იქნას მიღებული როგორც სამართლებრივი ან საგადასახადო რჩევა. ნებისმიერი შეკითხვით შეგიძლიათ მიმართოთ ჩვენს პროფესიონალებს.

საკონტაქტო ინფორმაცია:

ბეიკერ ტილი ჯორჯია, 44, კოტე აფხაზის ქუჩა
(მეიდან პალასი) 0105, თბილისი.

(+ 995 32) 2438 999

office@bakertillygeorgia.ge

www.bakertillygeorgia.ge

შპს ბეიკერ ტილი ჯორჯია არის Baker Tilly International -ის დამოუკიდებელი წევრი. Baker Tilly International Limited-ი ინგლისური კომპანიაა. Baker Tilly International-ი არ უწევს პროფესიულ მომსახურებას კომპანიებს. ქსელის ყველა წევრი ფირმა არის დამოუკიდებელი იურიდიული ერთეული. შპს ბეიკერ ტილი ჯორჯია არ არის Baker Tilly International -ის აგენტი და მას არ აქვს უფლებამოსილება დააკავშიროს რამე თავის ქმედებასთან Baker Tilly International-ი ან იმოქმედოს Baker Tilly International -ის სახელით. არც Baker Tilly International-ი, არც შპს ბეიკერ ტილი ჯორჯია და არც Baker Tilly International-ის ქსელის რომელიმე სხვა წევრი არის რამე სახით პასუხისმგებელი ერთმანეთის ქმედებებზე ან შეცდომებზე. Baker Tilly-ის სახელი და მასთან ასოცირებული ლოგო გამოიყენება Baker Tilly International Limited-ის მიერ გაცემული ლიცენზიის საფუძველზე.